# საქართველო
# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
# საკრებულო

3-07-4-202002061628

06/02/2020

N 3

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №3**
**2020 წლის 6 თებერვალი**
**ქ. ლანჩხუთი**

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/01/2018 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016341) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართი N2 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*დანართი*

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები**

| **თანამდებობათა დასახელება** | **რიცხოვნობა** | **თანამდებობრივი სარგო (ლარში)** |
|---|---|---|
| პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) | 1 | 1700 |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული საორგანიზაციო განყოფილება** | **5** | |
| მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) | 1 | 1200 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) | 1 | 900 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) | 1 | 900 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 900 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 900 |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)** | **10** | |
| მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) | 1 | 1200 |
| მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 9 | 700 |